მეორე ნაწილში შევეხები უზძნაძის არაფსიქოლოგიულრ მოღვაწეობას. როგორც უკვე ვთქვი, მას ისტორიკოსის დიპლომი ჰქონდა და ასწავლიდა ისტორიას, გამოსცა სახელმძღვანელოებიც, ასევე, იგი მოღვაწეობდა ფილოსოფიაში. შესაბამისად, მას ბევრი ფილოსოფიური ნაშრომი აქვს გამოცემული, რომლებიც შემდეგ 2 ტომად შეიკრა. 1909 წელს მან დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიაში ვადიმერ სოლოვიოვზე. საინტერესო იყო ერთი მხრივ, რადგან 1900 წელს გარდაიცვალა სოლოვიოვი და ეს იყო ერთ-ერთი პირველი სერიოზული ნაშრომი მის ფილოსოფიაზე. მეორე მხრივ, უზნაძემ ყურადღება მიაქცია არაცნობიერის ფენომენს და საუბრობს ამ თემაზე ამ ნაშრომში. არაცნობიერზე თქვენ ფროიდის ლექციებიდან მოისმენდით და გექნებათ წარმოდგენა მის შესახებ. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ მანამდეც, 1907 წელს, უზნაძე დააჯილდოვეს სპეციალური პრიზით , როგორც ერთ-ერთი სტუდენტი, რომელმაც გააკეთა ნაშრომი ლაიბნიცის ფილოსოფიაზე. ეს გახლავთ ძალიან ცნობილი და მნიშვნელოვანი გერმანელი ფილოსოფოსი, ასევე, მათემატიკოსი და მას ჰქონდა ფსიქოლოგიური პასაჟებიც, რომელზეც ყურადღებას ამახვილებდა უზნაძე. შემდეგ, შრომა ჰქონდა ფრანგ ფილსოლოფოსზე, ანრი ბერგსონზე, რომელიც უზნაძის თანამედროვე იყო. გარდა ამისა, ის მუშაობდა ისეთ საკითხებზეც, როგორებიცაა ომის ფილოსოფია, აინტერესებდა პოეზიის ფსიქოლოგია, ზოგადად, ხელოვნების საკითხები.

ახლა ვისაუბროთ მის პედაგოგიურ მემკვიდრეობაზე. პედაგოგიკას ამჟამად, განათლების მეცნიერებებს ვუწოდებთ. უზნაძისათვის პედაგოგიკა იყო თეორიულიც და პრაქტიკული საქმეც. მთელი ცხოვრება ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და, პარალელურად, მას ჰქონდა შრომები ამ სფეროში. მისი შრომები შეიძლება ორად გაიყოს: ფსიქოლოგია პედაგოგიკაში და განათლების ადმინისტრაცია. განათლების მეცნიერებაში ადმინისტრაცია ნიშნავს იმას, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ, როგორ უნდა იყოს აწყობილი სასწავლო პროცესი, სკოლა. ერთ-ერთი მისი მოსაზრება ამ კუთხით იყო ის, რომ სკოლაში უნდა არსებობდეს თვითმმართველობა. მისი იდეები არის ძალიან ინოვაციური იმ პერიოდში, რადგან ამ ყველაფრის შესახებ პირველად ჩვენ ათი წლის წინ გავიგეთ, ოროცა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყეს მუშაობა. მეორე მხარეა უზნაძე, როგორც ფსიქოლოგი, რას ფიქრობდა, როგორ ვითარდება ბავშვი, მოსწავლე, ადამიანი. აქ იგულისხმება, როგორც ვითარდება ის კოგნიტურად და ემოციურად და როგორ უნდა მოვარგოთ ამას განათლების სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის განათლების ფსიქოლოგიაში და აქვს უამრავი მნიშვნელოვანი ნაშრომი ამ კუთხით. ერთ-ერთი მისი მოსაზრება გახლავთ თამაშის შესახებ. მას აქვს შემუშავებული თამაშის თეორია, რომელიც საინტერესო და განსხვავებულია რუსი ფსიქოლოგის ვიგოტსკის თეორიებისაგან. თამაშის კუთხით, დღემდე ამ ორი ადამიანის ეს 2 ხაზი ვითარდება. ვიგოტსკისთვის თამაში არის განვითარებისთვის, სიახლეებისთვის და წინსვლისთვის, უზნაძესთვის ზოგადი ფუნქციობის ტენდენციის გამოსავლენადაა, რომელიც არის ბავშვში

და არაა აუცილებელი ყველა თამაშმა განავითაროს ბავშვი. შემდეგში მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი განვითარდეს დამოუკიდებლად და გამოუმუშავდეს კრიტიკული უნარი და ყველანაირად ცდილობდა, როდესაც იყო მასწავლებელი თუ დირექტორი, ხელი შეეწყო მოსწავლეებში დამოუკიდებლობის ინიციატივისათვის, მათთვის თვითმმართველობის სახით მიეცა „ხმის“ უფლება. აღზრდისა და სწავლების დღეისათვის ინოვაციური მეთოდები მისთვის მე-20 საუკუნეშიც არ იყო უცხო და ეს აღნიშვნის ღირსია.

როგორც გითხარით, მას უკვე ჰქონდა ნაშრომები განათლების სფეროში. მაგალითად, „ექსპერიმენტული პედაგოგიკა“, რუსულ ენაზე „საშუალო სკოლის ორგანიზაცია“. მოგვიანებით „ბავშვის ფსიქოლოგია“, ასევე, 1933 წელს გამოშვებული „პედოლოგია“, რომელიც აიკრძალა საბჭოთა კავშირში, როგორც დასავლური იდეების მატარებელი ანუ ულირსი ბურჟუაზიული იდეების გამტარებელი წიგნი.